გრიგოლ ჟორდანია

მამა, ნათლია და ვიღაც კაცი

მოქმედი პირნი:

გრიშა

მიშა

გრიშას ცოლი

მიშას ცოლი

გრიშას შვილი

მიშას შვილი

თამაზი

საბჭოთა ბინის კაბინეტი.

კაბინეტს ორი კარი აქვს. ოთახში შემოსასვლელი და აივანზე გასასვლელი. დგას საწერი მაგიდა, სავარძელი, სარკეებიანი "ტრილიაჟი" და ტორშერი. ინტერიერი პირქუშია, არაფრით გამორჩეული.

გუგულის საათის ხმა.

კულისებიდან ისმის ხმა:

გრიშას ცოლი- მოდი, ფრთხილად, აქ დაჯექი და ერთი წუთით ამოისუნთქე… უფრო ღრმად… აი ასე. კიდევ გეხვევა?

გრიშა- ცოტა, მაგრამ უკეთესად ვარ.

გრიშას ცოლი- სპალნაში დაწექი, გაგიმზადე ყველაფერი.

გრიშა- არა, ცოტა ხანი კაბინეტში შევალ, კარგად ვარ.

გრიშას ცოლი- (შვილს) შეირბინე, ფანჯარა დაკეტე. (ქმარს) ვანიავებდი.

შემორბის გრიშას შვილი, სახლის ტანსაცმელი აცვია. კეტავს ღია ფანჯარას, ოთახში შემოსასვლელ კართან დგება და იჭერს რომ არ დაიკეტოს.

ისევ კულისებიდან:

გრიშას ცოლი- აბა, წავიდეთ?

გრიშა-კი, კი. მზად ვარ.

გრიშას ცოლი- მოდი დაგეხმარო, დამეყრდენი.

გრიშა- არა ავდგები.

ბიჭი კარს ხელს არ უშვებს და მოუთმენლად ელოდება მშობლების შემოსვლას. პაუზის შემდეგ გრიშა და გრიშას ცოლი შემოდიან სცენაზე. მამა ბიჭს თავზე ხელს გადაუსმევს მადლობის ნიშნად.

გრიშას ცოლი- კრესლოში ჩაჯექი და დაისვენე. (შვილს)წადი შენ ჩაიცვი. არ მიდიხარ?

გრიშას შვილი- აუ გთხოვ აქ მომიტანე რა.

გრიშას ცოლი- ადექი და მოიტანე.

გრიშას შვილი- გთხოვ.

გრიშას ცოლი- მე ვერაფერს მოგიტან. გადი და ჩაიცვი.

გრიშას შვილი- მომიტანე და ჩავიცმევ.

გრიშას ცოლი- ღმერთო, ეს რა უმწეო ბავშვია. არ ჩაიცმევ და ნუ ჩაიცმევ. ჰოდა, არსად არ წახვალ.

გრიშას შვილი- რა მოგივა რომ მომიტანო?

გრიშას ცოლი- ეს ოხერი, შენ რა მოგივა რომ გახვიდე და ჩაიცვა. მოვა ეხლა ჩაჩიკა და მანქანაში უნდა გელოდოს. (ბიჭს რეაქცია არ აქვს, დედა გადის გაბრაზებული)

გრიშა- ნუ აბრაზებ დედას.

გრიშას შვილი- თვითონ მაბრაზებს!

ცოლს შემოაქვს ტანსაცმელი და თავზე აყრის

გრიშას ცოლი- აჰა და ჩაიცვი!

შვილი ზანტად იწყებს ჩაცმას.

გრიშა- კარგი ნუ ბრაზობ… (სავარძელიში კომფორტულად მოთავსდება და ფეხზე იხდის) რა კარგია სახლი. (გახედავს ოჯახს)

გრიშას ცოლი- (გაბრაზრებული, თითქოს მისი ბრალია) ჩვენც მოგვენატრე.

გრიშა -(ცდილობს სიტუაცია გაანეიტრალოს) ერთი კი გავიფიქრე იმდენი ხანი არ მომიწიოს აქ ყოფნა, რომ ჩემი ქალი გამითხოვდესთქო (იცინის)

გრიშას ცოლი- ცოტაც დარჩენილიყავი და ნახავდი… (ყვება სიცილში)

გრიშა- გიტაცებდენენ თუ მიყვებოდი?

გრიშას ცოლი-მიტაცებდენენ! ბეზ პიტი მინუტ მომისწარი.

გრიშა- ის ფილმი რომ არის, "კომუნისტი", ურბანსკი რომ თამაშობს. ის მომენტი გახსოვს? გუბანოვი რომ ანიუტას ხელში აიტაცებს (უფრო მეტად იცინის)

გრიშას შვილი- დედას ხელში ვინ აწევს?!

ცოლი გაბრაზებულთან ერთად, ცოტა ნაწყენიც გახედავს შვილს. ახლა შვილიც იწყებს სიცილს. გრიშა ბჟირდება, ისე რომ სიცილი ხველებაში გადასდის. ცდილობს სუნთქვა დაიწყნაროს.

კარზე ზარია.

გრიშას ცოლი- (ცოტა გაბრაზებული) მოვიდა ჩაჩიკა, ჰოდა დარჩები სახლში.

ბიჭი სწრაფად ამთავრებს ჩაცმას

გრიშა- (შვილს) მიდი, მიდი წაყევი. (თვალს უკრავს სიცილით)

გრიშას ცოლი- (კარიდან ნიშნისმოგებით) მჭადები გამოვაცხო?

გრიშა- დიდი სიამოვნებით. ჩაჩიკას უთხრი, რომ მიიყვანს მობრუნდეს, რაღაც უნდა გავატანო ვახტანგისთან.

გრიშას ცოლი- კარგი. მიდი, დაისვენე შენ.

დედა და შვილი გადიან. გრიშა მარტო რჩება. ღიმილი ისევ სახეზე რჩება. ნელა დგება მიდის საწერ მაგიდასთან და შლის რვეულს.

გრიშას ცოლი- (კულისებიდან ხმამაღლა) თამაზი ყოფილა, გრიშა.

გრიშა- უი, მოდი თამაზ, კაბინეტში ვარ.

თამაზი აღებს კარს, ფეხით იჭერს და უკვე გაღებულ კარზე აკაკუნებს. გრიშა ხურავს რვეულს.

თამაზი-აბა როგორ გიკითხოთ?

გრიშა- შემოდი თამაზ, შავი ჭირი კი არ მჭირს.

თამაზი- ფერი კი გაქვს თურაშაულის ვაშლივით,იცოცხლე. (იცინის)

გრიშა- მემგონი გადავრჩი.

თამაზი- კაშეი ბეზ სმერტნი… ქუსლი შეიხვიე, რამე არ მოგხვდეს.

გრიშა- ჯერჯერობით თაზო, ჯერჯერობით… (იღიმის)

თამაზი- ნუ ამბობ ეგრე კაცო, რაო ექიმებმა?

გრიშა- ზუსტად ისე მიდის, როგორც საექიმო წიგნებში წერია. მოკლე ხანში კიდევ უფრო პროგრესული შეიძლება გახდესო. არ ვიცი, არ ვიცი… დავაგდე მუხლებზე საკუთარი თავი.

თამაზი- ნუ გეშინია, მეც მეშინია… (იცინის)

გრიშა- სრულიადაც არ მეშინია. ძალიან კარგად ვარ მომზადებული სიკვდილისთვის…

თამაზი- თფუი, თფუი, თფუი. (ვერ პოულობს ხეს, რაზე დააკაკუნოს, გვერდულად იხრება და იატაკზე აკაკუნებს)

გრიშა-მხოლოდ მინდა ჩემს გარშემო ხალხი შევაჩვიო ამ ამბავს.

თამაზი- გამოძვრები, გამოძვრები.... აგერ მე და აგერ შენ.

გრიშა- უფლის ნება თუ იქნება.

გაწელილი, უხერხული სიჩუმე. ორივეს სივრცეში თვალი უშეშდება.

თამაზი- შენ ჯვარი გწერია. მინდია მირცხულავას რომ ესროლეს თუ გაიგე?

გრიშა- როდის კაცო? რას მეუბნები? ცოცხალია?

თამაზი- ორი დღის უკან. ჰო, მკვდარია, თავში რამდენჯერმე ესროლეს, თავი თითქმის აღარ აქვს. ძლივს იცნესო, თენგომ მითხრა, მოსულიშვილმა.

გრიშა- ეჰ, საწყალი მინდია.

თამაზი- აბა… რამდენი თვეო დალევაზე? (იცინის) მაგარი კონიაკი მოგიტანე. პირდაპირ ფაბრიკიდან. (იღებს ბოთლს და მაგიდაზე უდებს)

გრიშა- მადლობა თამაზ,მაგრამ ჩემი დალევა, თამბაქო და კარგი ცხოვრება მორჩა. (კითხულობს ბოთლის ეტიკეტს) საწყალი მინდია, არ იყო ცუდი კაცი…

თამაზი- თამბაქოს ფაბრიკის დირექტორი კაცი, თამბაქოს არ ეწეოდეს ცოდვა არაა? იგივეა პოვარი დიეტაზე დასვა. (იცინის)

გრიშა- რას ვიზამთ ჩემო თამაზ?!

თამაზი- შენ მაგაზე გული არ გაიტეხო. ეშველება მაგ გულს…

გრიშა- ამ გულს არ ვიცი, მაგრამ ჩვენ რა გვეშველება?! ისეთი ამბები მესმის… ინგრევა ქვეყანა.

თამაზი- ამასწინათ ზვიადის მომხრეები ფოთში შევიდნენ. სამოქალაქო ომი დაიწყება.

გრიშა- მე მგონია უკვე დაიწყო.

თამაზი-გამოსავალი რა არის?

გრიშა- რომელმა მხარემაც არ უნდა გაიმარჯვოს მოყვება უმკაცრესი რეპრესიები, აი ნახავ როგორ გამწვავდება რუსეთთან ურთიერთობა.

თამაზი- ეგ ცხადია, მაგრამ სხვა გზა არ არის.

გრიშა- ასლანი… მაგრამ უჰ… ყველაზე კარგი გზა არჩევნებია, მაგრამ…

თამაზი- არჩევნებამდე თუ მივიდა საქმე რაღა გვიჭირს?

გრიშა-ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული რა მოხდება რუსეთში.ეგ დასაწვავი არა მარტო ჩვენი, მთელი მსოფლიოს პრობლემაა. რუსეთმა შეიძლება დაღუპოს მსოფლიო. ასეთი მოუწესრიგებელი, უმართავი რუსეთი, რომელსაც გააჩნია ამხელა შეიარაღება მხოლოდ და მხოლოდ დაქცევით თუ ემუქრება კაცობრიობას. მეშინია ნოსტრადამუსის სიტყვები არ გამართლდეს. ჩვენ კი ამ დროს რას ვგავართ. ძმა, ძმას მიშველების ნაცვლად სიკვდილით ასაჩუქრებს. ასეთი უგუნური ერი როგორ უნდა შეავედრო ღმერთს?

თამაზი- კარგი, დამშვიდდი. არ შეიძლება ახლა შენთვის ნერვიულობა.

გრიშა- რა ხდება ფაბრიკაში?

თამაზი- ასეა თუ ისე მდგომარეობა ნორმალიზებულია. ხვალ საამქროს უფროსის არჩევნები გვაქვს.

გრიშა- მე ვფიქრობ მორისი უნდა ავირჩიოთ მიქელაძე. გაამართლა, მაგრამ მინდა, რომ კოლექტივში ყველა კმაყოფილი იყოს, ამიტომ საერთო გადაწყვეტილება მივიღოთ.

თამაზი- ჰო, რა თქმა უნდა.

გრიშა- ამბობენ ქალაქში გამოსვლებიაო.

თამაზი- ილია ჭავჭავაძის საზოგადოება აქტიურობს. ჰო, მართლა, მერაბი ვასაძე ხომ გახსოვს?

გრიშა-კი, როგორ არა.რა შუაშია მაგათთან?

თამაზი- არა მაგათთან არაფერ შუაშია.

გრიშა- მაგასაც რამე მოუვიდა?

თამაზი- მაცადე კაცო, გითხრა. კარგად არის. ეგენი ხო ოზურგეთიდან არიან.

გრიშა- მერე?

თამაზი- მაგის ბაბუას ომამდე მოუყვანია გერმანელი ცოლი, რომელსაც ორი ბავშვი მოყვა, გერმანელები. რომელებიც მერე გაქართველდნენ, ვასაძეები გახდნენ.

გრიშა- მერე?

თამაზი- ამ მერაბის ბაბუასაც ყოლია უკვე ერთი ბიჭი, პირველი ცოლისგან. მერაბის ბიძა. მაშინ 17-18ს ყოფილა.

გრიშა- ხო.

თამაზი-მერე ეს ბიძა, ის 17 წლის ბიჭი გაუქანებიათ ფრონტზე, სადღაც გერმანიაში და ჩავარდნილა ტყვედ და რა გააკეთა იცი?

გრიშა-რაო?

თამაზი- თავის გერმანელი დედობილის გვარი უხსენებია, მაგ გვარის ვარო. კლაინეო თუ ჰაინეო...

გრიშა- მერე?

თამაზი- მერე გამოუშვიათ ეს ბიჭი ლაგერიდან, მიუციათ ბინა ბერლინში და ჩაცხოვრდა იქ, გაგერმანელდა და აქეთ ვასაძეებისკენ არც გამოუხედია. მერე გაჩნდა მერაბის მამა. მაგრად უჭირდათ თურმე ოზურგეთში,ჰოდა ეს გერმანელი ძმებს, რომლებიც ძმები არც იყვნენ, წამოზრდილან და მიუწერიათ იმ ვაჟბატონისთვის ხო არ დაგვეხმარებიო? მეტი არ არის ჩემი მტერი, პასუხიც არ გაუცია, მაგათი გვარით კი აიწყო ცხოვრება.

გრიშა- ცოტა დავიბენი.

თამაზი- ჰოდა მთავარი… ამ კაცის შვილს ეტყობა შერცხვენია მამამისის საქციელის და დაკავშირებია მერაბს, ესე და ესეო შენი ბიძაშვილი ვარო და აღუდგენიათ ურთიერთობა. ჩამოსულა და ჰაი, ჰუი. ოზურგეთშიც წაუყვანიათ. ქართველი არაფერი ცხიაო, სუფთა გერმანელიაო.

გრიშა- მერე?

თამაზი- იმ დღეს შემხვდა. ამათთან არის (გაზეთზე თითს ადებს)

გრიშა- ის გერმანელი?

თამაზი- არა კაცო, მერაბი.

გრიშა- ხო ეგ ვიცი, მერე?

თამაზი- კვების მრეწველობის დღე ავღნიშნეთ მცხეთაში, სანამ იქ იწექი და იქ ქეიფობდა თავისიანებთან ერთად. იქ მომიყვა ეს ამბავი… მერე მოგიკითხა… მეთქი ესე და ესე დაემართათქო, ძალიან შეწუხდა. რას ამბობო, დღესვე დაველაპარაკებიო იმ გერმანელ ბიძაშვილსო, კარდიოლოგი ყოფილა…

გრიშა- მერე?

თამაზი- ჰოდა, სიტყვის კაცი აღმოჩნდა ეს შენი მერაბი. მეორე დღესვე დამირეკა. წამალი გამოვაგზავნინეო, მანდ არ იშოვებაო, მაგის დაავადებისთვის ზედ გამოჭრილიაო, მოხმარების წესები უთარგმნია და აგერ ორი დღის წინ მომიტანა. რამე თუ დაჭირდება, ჩემი თავი შემოევლოსო. (პალტოს ჯიბიდან იღებს წამლის კოლოფს და მაგიდაზე დებს)

გრიშა- (ხსნის კოლოფს და კითხულობს ანოტაციას) ყოჩაღ მერაბის, პატივი უნდა ვცეთ. დავურეკავ, მადლობას გადავუხდი. მადლობა თამაზ. შენ რომ არ მყავდე რა მეშველებოდა. თუ რამე მომივა, ჩემს ოჯახს შენს იმედზე ვტოვებ ხო იცი?

თამაზი- არაფერი მოგივა. მთავარია მშვიდობა იყოს ქვეყანაში.

გრიშა- უცბად გამახსენდა, რეზო მაისურაძემ მკითხა მამა სად მუშაობსო. ერთი წლის მერე უნდა ვკითხო რატო მკითხა?!

თამაზი- კითხე, კითხე სანამ ცოცხალია… მოსწრებაზე ვართ ხალხი. რამე უნდა გავაკეთოთ…

გრიშა- ჩვენ რა შეგვიძლია? სიგარეტებს ხო არ დავურიგებთ გაჭირვებულ ხალხს. აჰა, ისედაც კვდებით და უფრო მალე მოკვდითქო?!

თამაზი- მხარე უნდა ავირჩიოთ გრიშა, მხარე…

გრიშა- მე ქართველს და ქართველს შორის მხარეს ვერ ავირჩევ ჩემო თამაზ.

თამაზი- სხვა გზა არ არის.

უხერხული პაუზა

თამაზი-სანამ გერმანიის ამბებს მომიყვებოდა, მაგისიანები მოვიდნენ. ცოტა საშიში ხალხი (იღიმის) ესო ის არისო, ჩემზე, ფაბრიკის ისო…

გრიშა- მერე?

თამაზი- არაფერი, ცოტა შენიშვნასავით მომცეს, გვერდში რატომ არ გვიდგახართ, ქვეყნის ბედს ეხება საქმეო.

გრიშა- გვერდში რატომ უნდა დაგიდგეთქო არ კითხე?!

თამაზი- აღარ დავძაბე სიტუაცია. მოდი, მოდი დაგვილიეო და შევრჩი ცოტა ხანს. რთულად არის საქმე. ფინანსური პრობლემები აქვთ როგორც ჩანს. ბიჭებისთვის საჭმლის და წამლის ფული არ გვაქვსო.

გრიშა- ჰო, საჭმელზე ფიქრობენ ზუსტად…

თამაზი- მე არ ვიცი რისთვის ჭირდებათ, მაგრამ ვინც ჩვენს გვერდით არ დგას ჩვენი მტერიაო.

გრიშა- დაგემუქრნენ?

თამაზი- არამგონია, უფრო მეგობრული რჩევა იყო.

გრიშა- მერე?

თამაზი- მერე ამ მერაბმა გამიყვანა და ეს გერმანიის ამბები მომიყვა. თქვენი იმედიც გვაქვსო. იმედია ჭკვიანურ გადაწყვეტილებას მიიღებს გრიშა ამ სიტუაციაშიო, ჯერ გამოჯანმრთელდესო მთავარიაო. ქვეყანას ცოცხალი ჭირდება ეგ კაცი და თავს მოუაროსო.

გრიშა- ჭკვიანურ გადაწყვეტილებაში რას გულისხმობ?

თამაზი- რაღაც თანხა უნდა გამოვუყოთ მე თუ მკითხავ.

გრიშა- აჰა გასაგებია პატივი რატო მცა (მიანიშნებს წამლის ყუთზე) მე არ მინდა ამ საქმეში გარევა.

თამაზი- გასაგებია, მაგრამ სხვა გზა არ არის. ქვეყანა ამათია. პრივატიზაციები დაიწყება და არ გაინტერესებს ფაბრიკა ვის ხელში დარჩება?, შანსი გვაქვს, რომ ამ ამბების მერე ისე ვიცხოვროთ, თუ გავუძელით, საზრუნავი არ გვქონდეს. ის თანხა რასაც გვთხოვენ ჩვენთვის არაფერია, იმათთვის ბევრია.

გრიშა- არ მინდა, ვინმეს სისხლში ხელი გავისვარო. მორჩა, გათავდა!

თამაზი- შენ უბრალოდ, ფული უნდა გამოყო საჭმლისთვის და მადიკამენტებისთვის.

გრიშა- გიმეორებ, არ არის ეგ ფული საჭმლისთვის და წამლებისთვის!

თამაზი- გრიშა, მომისმინე, თავს საფრთხეში ჩაიგდებ, მეც საფრთხეში ჩამაგდებ, შენს ოჯახსაც. შენს ბიჭზე არ ფიქრობ?

გრიშა- რომ ვფიქრობ, ამიტომ არ ჩავერევი.

თამაზი- რა შუაშია?

გრიშა- თამაზ, მე ჩემი გითხარი. შეგიძლია გადასცე მერაბსაც და მის ძმა-ბიჭებსაც და ეს წამალიც შეგიძლია მიაშავო უკან.

თამაზი- შეცდომას უშვებ! ყველაფერს დაკარგავ, სახელსაც, ავტორიტეტსაც, ფაბრიკასაც და კიდე ღმერთმა იცის რას?

გრიშა- რაღაც ვერ ვარ კარგად. უნდა წამოვწვე.

თამაზი- გინდა წყალი?

გრიშა- არა, არა დასვენება მინდა, ცოტა ხანი წავუძინებ, თუ არ გეწყინება.

თამაზი- არა, დაისივენე და იფიქრე. მე წავალ... თავს გაუფრთხილდი და ფაბრიკაზე იფიქრე. ოღონდ სწრაფად, მერე შეიძლება გვიანი იყოს...

გრიშა- მადლობა თამაზ, გაგაცილებ...

თამაზი- იყავი, არ ადგე.

გრიშა- წამო, წამო ჯერ კი არ მოვმკვდარვარ.

თამაზი- წამლის დალევა არ დაგავიწყდეს...

გადიან ოთახიდან

შემოდის მიშა აივნიდან, ხელის პირთან ქნევით თითქოს სიგარეტის კვამლს ანიავებს. უყურებს სტუმრის მოტანილ კონიაკის ბოთლს. ხსნის, ისხამს და სვამს. თითქოს მშვიდდება, შვებას პოულობს... გაიგებს ფეხის ნაბიჯის ხმას. სასწრაფოდ კონიაკის ბოთლს და ჭიქას მაგიდის ქვეშ მალავს. ოთახიდან შემოდის მიშას ცოლი. ხელში მჭადები უჭირავს.

მიშას ცოლი- აბა როგორ გრძნობ თავს? რამე ხომ არ გჭირდება?

მიშა- არა, არა. კარგად,ვარ არამიშავს...

მიშას ცოლი- რაო თამაზმა?

მიშა- მომიკითხა... რაღაც წამალი ყოფილა თურმე გერმანიაში, გულის. პირდაპირ მისწრებაა შენთვისო. მაგრამ არ ღირს იაფი, შენ თუ რაღაცას შეაკოწიწებ, გამოვაგზავნინებო.

მიშას ცოლი-მერე?

მიშა- საიდან რას შევაკოწიწებ?!

მიშას ცოლი- იქნებ გავყიდოთ ნახატები.

მიშა- ვის ენახატება? ან სად უნდა გაყიდო? ან ვინ უნდა იყიდოს? ვის რად უნდა ახლა ჩემი ნაჯღაპნი, პირდაპირ მუზეუმებიდან გააქვთ შედევრები. (იცინის)

მიშას ცოლი- რაღაცას მოვიფიქრებთ. რა ღირს ამისთანა ის წამალი?

მიშა- იმდენი რამდენსაც ვერ გავწვდები, სულ რომ… (ხელს ჩაიქნევს)

მიშას ცოლი- სამსახურში ჩავაგდებ სიტყვას. იქნებ შეკვეთა მივიღოთ.

მიშა- დაივიწყე.

მიშას **ცოლი**- რატომ?

მიშა- პორტრეტს არ დავხატავ.

მიშას ცოლი- ახლა იმ მდგომარეობაში არ ვართ მუზებს ელოდო. იქნებ დირექტორს დაველაპარაკო, შეძლებული ოჯახია.

მიშა- არ მინდა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდე.

მიშას ცოლი- მაგაზე არ იფიქრო... კარგი ქალია, შეიძლება დაინტერესდეს.

მიშა- რა ვქნა, გული არ მიმდის ამ პორტრეტების ხატვისკენ.

მიშას ცოლი- მაგ გულს ახლა მკურნალობა ჭირდება.

მიშა- არ ვიცი… შენი პორტრეტი ვერ დამიხატია ამდენი წელია და…

მიშას ცოლი- არაუშავს, მოვა მაგისი დროც. ჯერ ტყუილად მოიწყინე, ჯერ მსურველი ვიპოვნოთ.

მიშა- კარგი.

მიშას ცოლი- წამოწექი, დაისვენე. (აპირებს ოთახიდან გასვლას)

მიშა- მადლობის თქმა დამავიწყდა შენთვის…

მიშას ცოლი- რისთვის მიხდი მადლობას?

მიშა- ასე რომ ზრუნავ ჩემზე. იქ რომ მითენებდი და მიღამებდი. საერთოდ რასაც ჩემი გულისთვის აკეთებდი და აკეთებ. არ დამიმსახურებია.

მიშას ცოლი- აბა რისთვის ვარ?!

მიშა- მადლობა…

მიშას ცოლი- არაფრის (იღიმის)

მიშა ცოლი მიდის ახლოს და კოცნას აპირებს. მიშა ტუჩებს არიდებს . მიშას ცოლი ხელით იჭერს მის თავს და ცდილობს მისი პირი საკუთარ ცხვირთან მიიტანოს.

მიშას ცოლი- რა გააკეთე?

მიშა- რას გულისხმობ?

მიშას ცოლი- რა სუნი აგდის?

მიშა- რაზე ამბობ?

მიშას ცოლი- რა და სპირტის სუნი აგდის. დალიე?

მიშა- არა!

მიშას ცოლი- გამოიწიე (ანერვიულებული ეძებს სასმელს და პოულობს მაგიდის ქვეშ) ეს რა არის?

მიშა- კონიაკია, თამაზმა მოიტანა.

მიშას ცოლი- ვხედავ რაც არის! აქ რატო დევს? ან რატომ ყარხარ სასმლის სუნით?

მიშა- უბრალოდ გავსინჯე. დანარჩენი იმან დალია.

მიშას ცოლი- ცეცხლი დალიე და ნავთი მიაყოლე.

მიშა- რას მწყევლი, რა გინდა? ერთი ყლუპი გავსინჯე.

მიშას ცოლი- არ მაინტერესებს. თავის მოკვლა თუ გინდა წადი და სხვაგან მოიკალი.

მიშა- ნუ მიყვირი, ბავშვია.

მიშას ცოლი- უნდა გაიგოს როგორი მამაც ჰყავს. არ გეცოდება, მითხარი?! ამას რომ უყურებს მთელი ცხოვრებაა?! როგორ გადაყვა მამამისი დალევას!

მიშა- რას ლაპარაკობ შენთვითონ გესმის? შემომხედე რა მდგომარეობაში ვარ. ხომ იცი როგორი შფოთვა მაქვს. რა ვქნა თავი როგორ დავიმშვიდო მითხარი.

მიშას ცოლი- შენი ლოთობით დაიავადე თავი.

მიშა- რომელი ლოთი მე მნახე?!

მიშას ცოლი- სარკეში ჩაიხედე. ჭკუა როგორ ვერ ისწავლე?

მიშა- შენ თავს გეფიცები, ერთი ჭიქა დავლიე დასამშვიდებლად.

მიშას ცოლი- კაპიკი ფული არ გვაქვს, ყველაფერი შენს მკურნალობაში დავხარჯერთ და შენ დასამშვიდებლად კიდევ ერთი ჭიქა გჭირდება?

მიშა- რა ჩემი ბრალია ავად რომ გავხდი?

მიშას ცოლი- აბა ვისი ბრალია, ჩემი? ჩემი ბრალია ბავშვი მშიერი რომ არის? თუ ის არის ჩემი ბრალი სკოლაში რომ ვერ ვუშვებ, იმიტომ რომ ტუფლი არ აქვს? ასეთ ყოფას მერჩივნა უკანასკნელი ქალი ვყოფილიყავი.

მიშა- ორ კვირაში ეზრდება ფეხი? (ცდილობს გაანეიტრალოს.)

მიშას ცოლი- რა კარგ განწყობაზე ხარ?! არ გეცოდება? ძლივს მოვუნახე სიდამონიძეების მოცემული ძველი ტუფლი, სიმაღლეები ჩავუფინე, რომ არ გასძვრეს. შენ იცინე...

მიშა- რა ვქნა მითხარი. მე არ გეცოდები? ხომ ხედავ დიდი დღე აღარ მიწერია და შემარგე რა! ნეტა მაშინვე მოვმკვდარიყავი.

მიშა ცოლი- თავს ნუ მაცოდებ!

მიშა- ჰო, რა ვქნა ყველას მინდა თავი შევაცოდო. ხედავ სადამდე დავეცი?! მინდა შემიცოდონ. გასაგებია?

მიშას ცოლი- მარტო საკუთარ თავზე ფიქრობ! მიშა, შენზე რომ გული შემტკივა ამიტომ გეუბნები, თორემ დალიე რამდენიც გინდა, თამბაქოც მოწიე და რომ გაუკიდებ თან წარმოიდგინე ბავშვი როგორ შემოგხედავს, რამე რო დაგემართოს.

მიშა- მის თვალებს რომ ვუყურებ გული მიკვდება, ამ თვალებს დარდი რომ შეხვდეს, ნაღველი რომ ჩაუდგეს, რაღა მეშველება?!

მიშას ცოლი- შენ უკვე ნაშველი გექნება?! (იღიმის)

მიშა- მომწონს როცა იღიმი.

მიშას ცოლი- არ ვიღიმი!

მიშა- იღიმი! ვხედავ ლოყა როგორ აგეწია.

მიშას ცოლი- არ გვაქვს სასაცილოდ საქმე.

მიშა- ზოგჯერ როგორ მომხიბვლელად პათეტიკური ხარ.

მიშას ცოლი- როცა მშია პათეტიკური ვხდები.

მიშა- ავდგები ფეხზე და ვიზამ რამეს!

მიშას ცოლი- სანამ წაიქცეოდი მაქამდე უნდა გექნა რამე. გადაყევი შენს…

მიშა- ისევ ლოთობაზე არ დამიწყო.

მიშას ცოლი- არა, შენს ნახატებს გადაყევითქო. ეტყობა არ არის ისეთი კარგი, როგორიც შენ გგონია.

მიშა- ხალხი არ არის ისეთი კარგი, როგორსაც ჩემი ნახატები იმსახურებენ.

მიშას ცოლი- ეტყობა შენც გშია.

მიშა-(პაუზა) ალბათ მართალი ხარ.

მიშას ცოლი- კარგი არ მინდოდა ამის თქმა.

მიშა- არა, სრული სიმართლეა.

მიშას ცოლი- მაპატიე. გთხოვ არ ინერვიულო. ცოტა ხანი ყველანი ერთად გავუფრთხილდეთ შენს გულს.

მიშა- (იღიმის) რაში დაიხარჯა ჩემი გული განვლილი წლების მანძილზე?! არ შემაწყვეტინო. ერთი კი შევნიშნე. ყველაფერი გულთან მიმიტანია. მე ზოგჯერ ეჭვი მეპარება ჩემი დაავადების დიაგნოზზე. სულიერი ტკივილი ხომ არ არის ვფიქრობ?!

მიშას ცოლი- ყველაფერი კარგად იქნება მიშიკო, ღმერთი არ გაგვწირავს.

მიშა- ამხელა ქვეყანას წირავს, თავის ამხელა ისტორიით და მე ვინ ფეხები ვარ?!

მიშას ცოლი- (კონიაკზე) ეს მიმაქვს და გთხოვ… უკანასკნელ შანსს გაძლევ.

მიშა- გპირდები.

მიშას ცოლი- ბავშვი დაიფიცე.

მიშა- ბავშვს გეფიცები აღარ დავლევ.

მიშას ცოლი- თუ დალევ…

მიშა- თუ დავლევ, ჩემი ფეხით წავალ სახლიდან.

მიშას ცოლი- დადე ხელწერილი.

მიშა იღებს კალამს და ფურცელს წერს და თან ხმამაღლა კითხულობს.

მიშა- (თან იღიმის) აჰა. მე, მიხეილ ა. პირადი ნომრით… პირობას ვუდებ ჩემს საყვარელ მეუღლეს, რომ აღარ დავლევ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემს უსაყვარლეს ცოლს და მეორე ნახევარს გადავუფორმებ ბინას და მე თვითონ წავალ სახლიდან.
ხელისმოწერა. მოდი მოაწერე შენც.

მიშა ცოლი მიდის მაგიდასთან, გაბრაზებული ღიმილით აწერს ხელწერილს ხელს.

კარზე ზარია. რითმული და ხშირი.

მიშა- ესე ჩქარა დაბრუნდა კარატედან?

მიშას ცოლი- ბოლო იყოს ჩვენი ამ თემაზე საუბარი.

მიშა- გპირდები. გამოუშვი რა აქეთ, უნდა შევაშინო. (იღიმის)

მიშას ცოლი- დაანებე ბავშვს თავი.

მიშა- მიდი გთხოოვ.

მიშას ცოლი- აჭამე ეს მჭადები მაგასაც. ოღონდ ესენი… ჩამდნარი რომელშიცაა. ეს ცალკე-ყველით შენ ჭამე. უმარილოა, ისინი არ შეჭამო.

მიშა- გავიგე, გავიგე.

მიშას ცოლი გადის. მიშა ეშმაკური გამომეტყველებით. ფიქრობს სად დაემალოს. აივნის კარს ეფარება. სიჩუმეა. შემოდის გრიშას შვილი. კიმონო აცვია.

გრიშას შვილი- მა მა… მა… მამა. არ მეშინია…

გრიშა- ბუ!

გრიშას შვილი- (ნაწყენი) არ შემშინებია

გრიშა- შემოდი მამა. გეხუმრე. რა დაგემართა.

გრიშას შვილი- არაფერი.

გრიშა-მოდი ახლოს. ჩემთან. (უცებ დაიჭერს და კოცნის)
(შვილი უხერხულად უსხლტება)

გრიშა- რატომ ხარ მოწყენილი?

გრიშას შვილი- არ ვარ მოწყენილი.

გრიშა- მოდი მჭადები ჭამე…

გრიშას შვილი- არ მშია.

გრიშა- ეწყინება დედას. თან გაგიჭრა და ჩაგიდნო ყველი, შენ რო გიყვარს ისე.

გრიშას შვილი- არ მინდა.

გრიშა- (გაუწვდის ხელს)გინდა თითებით დაჭერობანა?

გრიშას შვილი-(ცოტა გახალისდება)კი… (თამაშობენ)

გრიშა- დაგიჭირე.. (მიიზიდავს დაჭერილი ხელით და კიდევ კოცნის)

გრიშას შვილი- მე და დედამ ვილაპარაკეთ და დღეობაზე არავის ვეპატიჟებით.

გრიშა- მაგიტომ ხარ უხასიათოდ?

გრიშას შვილი- არა, არც მე მინდა…დედამ, ვისაც გავახსენდებით ის მოვიდესო…

გრიშა- რატომ?

გრიშას შვილი- რა რატომ?

გრიშა- რატომ არ გინდა.

გრიშას შვილი- არ ვიცი. მეზარება სტუმრები.

გრიშა- როდის მერე?! რამდენი დღე დარჩა შენს დღეობამდე?

გრიშას შვილი- (სწრაფად პასუხობს). 64 დღე.

გრიშა- ზუსტად კი გახსოვს. მერე შენი ამხანაგები? (იღიმის) დაგიჭირე ისევ.

გრიშას შვილი-(დაიმორცხვებს) ვისაც გავახსენდები მოვა.

გრიშა-(ხელს ჩაკიდებს და თავისკენ მიიზიდავს) კალათბურთი გინდა გიყიდო?

გრიშას შვილი- კი… შენი ამხანაგები?

გრიშა- რათ გინდა ჩემი ამხანაგები (კალთაში ჩაისვამს და ფურცლებს კუჭავს) მოდი აბა ვინ ჩააგდებს იმ ურნაში, ცოტა გავივარჯიშოთ.

გრიშას შვილი- (ისვრის) აცდა… მართლა მიყიდი?

გრიშა- აბა რას ვიზამ… არაუშავს, აჰა კიდე.

გრიშას შვილი- მამები რატო ყიდულობენ საჩუქრებს და დედები არა? (ქაღალდზე)მსუბუქია და არ წვდება იქამდე.

გრიშა- დედა არ გჩუქნის ხოლმე საჩუქრებს?

გრიშას შვილი- კი, მაგრამ შენ უფრო კარგ საჩუქრებს მჩუქნი.

გრიშა- მე და დედა ერთად გჩუქნით ხოლმე.

გრიშას შვილი- (ისვრის) ბებო?

გრიშა- ბებო?

გრიშას შვილი- ხო… გჩუქნიდა ხოლმე?

გრიშა- კი, აბა

გრიშას შვილი- ვერ ვაგდებ… მართლა ცაში ცხოვრობს?

გრიშა-კი…

გრიშას შვილი-ჩიტებთან?

გრიშა- ჩიტებთან და ანგელოზებთან.

გრიშას შვილი- ჩვენ რატო ვერ ვხედავთ ანგელოზებს? ჩიტებს ხო ვხედავთ?!

გრიშა- არ ვიცი. დედამ მითხრა ფორმის შარვალი გაეხაო ტრაკოებზეო.

გრიშას შვილი- ხო შპაკატში ვჯდებოდი. თვითმფრინავიდან დავინახავთ ბებიას?

გრიშა- შეიძლება… შპაკატში რა გინდოდა?

გრიშას შვილი- ბრუს ლის ნაირად…

გრიშა-მერე გამოგივიდა?

გრიშას შვილი- კი, მაგრამ გაიხა აი აქ. ეხლა ცალ ფეხზე ჩაკუზვას ვსწავლობ. (აჩვენებს) შეგიძლია რუჩაგოები მიყიდო?

გრიშა- აირჩიე კალათბურთი თუ რუჩაგოები.

გრიშას შვილი- ორივე რო იყოს?!

გრიშა- კარგი, მაშინ ერთს მე გაჩუქებ, ერთს დედა.

გრიშას შვილი- შენ რუჩაგოები მაჩუქე მაშინ. მერე შემეძლება ჩემი დებილი კარატეს ჯგუფელები, ყველა გავლახო და ვინც შენ გაგაბრაზებს.

გრიშა- და დედას?

გრიშას შვილი- (სწრაფად)და დედას… (სასხვათაშორისოდ)ისე შენ მართლა კვდები?

გრიშა- ეგ ვინ გითხრა, რომ ვკვდები?

გრიშას შვილი- არავის არ უთქვამს. მე მაინტერესებს…

გრიშა- შენ ჩემი სულის და ხორცის ნაწილი ხარ. მე რომ მოვკვდე ჩემი სიცოცხლე შენით გაგრძელდება.

გრიშას შვილი- ბაბუ ამბობს, მალე ექიმები ისეთ წამალს გამოიგონებენ, არავინ მოკვდებაო.

გრიშა- შეიძლება, მაგრამ საბოლოოდ ყველანი მოვკვდებით ადრე თუ გვიან, მაგრამ ჯერ არ ვაპირებ, შენ მაგაზე არ იდარდო და დამპირდი, რომ სიტყვა “დებილს” აღარ იტყვი(ნაძალადევად იცინის)

გრიშას შვილი- მეც მოვკვდები?

გრიშა- (პაუზა) შენ არა… შენ არა…(ბიჭი ალმაცერად შეხედავს)შეიძლება… ოღონდ ძალიან, ძალიან ბევრი წლის მერე… 300 წლის რო გახდები, შეიძლება მეტიც.

გრიშას შვილი- შენ, რომ ორმოცდაორის ხარ?

გრიშა- მერე?!

გრიშას შვილი- მე უკვდავი უნდა გავხდე.

გრიშა- მაგისთვის ბევრი უნდა ივარჯიშო.

გრიშას შვილი- განახებ, როგორ ვვარჯიშობ. (კარატეს მოძრაობას აკეთებს)

გრიშა- ვინც გინდა დაპატიჟე. დედას მე დაველაპარაკები. გინდა გასწავლო მუშტები როგორ გაიმაგრო?

გრიშას შვილი- კი მინდა.

მამა რვეულებს ჩხრეკს, ერთერთს, ზამბარიან რვეულს იღებს და კედელზე, ლურსმანზე ამაგარებს

გრიშა-მოდი… დაარტყი მუშტი, აი აქ შუაში.
(შვილი მიდის და ნელა ურტყამს) მიდი უფრო ძლიერად. (ბიჭი უფრო ძლიერად ურტყავს)

გრიშა-გეტკინა?

გრიშას შვილი- არა, ძალიან გამძლე მუშტები მაქვს.

გრიშა- მიდი ჩამოხიე რამდენიმე ფურცელი. მერე ყოველ დღე თითო ფურცელი ჩამოხიე და ისე ურტყი. ბოლოს შეძლებ კედელსაც დაარტყა და არ გეტკინოს.
(შვილი ხევს რამდენიმე ფურცელს, ურტყამს რვეულს, მამა სავარძელში ჯდება და ბავშვის ყურებით ტკბება. შვილი ნელ-ნელა უფრო და უფრო ძლიერად ურტყამს)

გრიშას შვილი- (ყელში ბურთი ადგას)აი ნახავ, გავანგრევ ამ კე… (წინადადებას ვერ ამთავრებს და ტირილს იწყებს)

გრიშა- მოდი მანახე.(შვილი არ მიდის)

გრიშას შვილი-(უყვირის ბოლო ხმაზე)მეტკინა! მეტკინა! შენი ბრალია!
(მამა დგება ბავშვი ხელში აყავს და იხუტებს ბავშვი უფრო ძლიერად იწყებს ტირილს)

გრიშა- გაგივლის მამა. არ ინერვიულო. შენ ხო ძლიერი ბიჭი ხარ?

გრიშას შვილი- არ მოკვდე კარგი?

გრიშა- კარგი, დამშვიდდი. გული დაიწყნარე. (კოცნის)

გრიშას შვილი- მპირდები?

გრიშა- გპირდები. წადი გაიქეცი წყალი დალიე და მეც შემომიტანე. შეგიძლია?

გრიშას შვილი- (ცრემლებს იწმინდავს იღიმის და მხნედ გარბის) დაითვალე.

გრიშა- ერთი.. ორი…

გრიშას შვილი- ეგრე არა, დახუჭე თვალები და ათ წამში აქ გავჩნდები.

გრიშა- (ხუჭავს) ერთი… ორი…

გრიშას შვილი- არ გაქვს დახუჭული, ნუ მატყუებ!

გრიშა- დახუჭული მაქვს აჰა…ერთი… ორი… სამი…

შემოდის გრიშას ცოლი

გრიშას ცოლი- რა აყვირებდა?

გრიშა- არაფერი, ხელი მიარტყა კედელს.

გრიშას ცოლი- (ბავშვს შორს უყვირის) მოდი მანახე ხელი!

გრიშა- დაანებე, არაფერი უჭირს.

გრიშას ცოლი- არ ჭამა? უნდა წავიდე სამსახურში. რამე ხომ არ გჭირდება?

შემოდის შვილი შემოაქვს წყალი.

გრიშა- ცხრა… ათი… ყოჩაღ!

გრიშას ცოლი- (შვილს) რატო არ ჭამე?

გრიშას შვილი- არ მშიოდა.

გრიშა- (სვამს წყალს) მადლობა მა. (ცოლს) ვაჭმევ მე. კარგად ვარ.

გრიშას ცოლი- (შვილს) გაიტანე სამზარეულოში და მერე დაჯექი იმეცადინე.

შვილი ბუზღუნით გადის

გრიშა- რითი მიდიხარ?

გრიშას ცოლი- თანამშრომელი გამომივლის, ვისაც ვამოწმებ. ის წამიყვანს.

გრიშა-(სიცილით) სიმპათიით ხომ არ უყურებ?

გრიშას ცოლი-(ღიმილით) ქალია კაცო. წამლის დალევა არ დაგავიწყდეს. (ტრილიაჟიდან იღებს ჩარჩოს) ეს მიმაქვს!

გრიშა- (სიცილით) უკვე სურათს მიდიდებ?

გრიშას ცოლი-(შენიშვნას აძლევს) სისულელეებს ნუ ლაპარაკობ, ჩარჩო უნდა გამოვუცვალო. ვერ ხედავ ფერი გადაუვიდა… დღეს შეიძლება დამაგვიანდეს.

გრიშა- ძალიან არ დააგვიანო. (კოცნის)

გრიშას ცოლი გადის. გრიშა მუსიკას რთავს რადიოში. შუქს აქრობს, მხოლოდ ღამის ნათურა რჩება. წვება, რამდენიმე წამით სავარძელში წრიალებს. შემდეგ გულაღმა დაწვება, ფიქრობს და ღამის ნათურასაც აქრობს.

სიბნელე

კარზე კაკუნია. მიშა ღამის ნათურას ანთებს. ძლივს იღვიძებს.

მიშა- (ყვირის) ღიაა, შემოდით.

გარედან ისმის თამაზის ხმა

თამაზი- (ყვირის) მიშა თამაზი ვარ.

მიშა- (ყვირის) შემოდი თამაზ. ჩემთან ვარ.

მიშა ძლივს დგება კარს აღებს, და ისევ წვება. ბარბაცებს. რამდენიმე წამში თამაზი გამოჩნდება და ღია კარზე საჩვენებელი და შუა თითით აკაკუნებს.

თამაზი-შეიძლება?

მიშა- მოდი თამაზ, მოდი.

თამაზი- შემოგირბინე ათი წუთით. ხო არ გაგაღვიძე?

მიშა- არა, არა ცოტა ხნით ჩამთვლიმა, მაგრამ კარგია რომ გამაღვიძე, მერე ღამე ვეღარ ვიძინებ.

თამაზი- რატო კაცო? გულის ამბავში?

მიშა- არა შფოთვები მაქვს. ნერვოზი… ნერვოზი…

თამაზი- ვისღა უკვირს ნერვოზი. კიდე კარგად ვართ. იმ წამალზე გავიკითხე და გამოაგზავნიან, როგორც კი ფულს გადავურიცხავთ.

მიშა- აი ვცდილობ თამაზ, რაღაც შეკვეთა უნდა მივიღო წესით, მეუღლის თანამშრომლისგან. ველოდები პასუხს.

თამაზი- ოჯახი სად არის?

მიშა- (იბნევა)სოფელში წავიდნენ სიდედრთან დილაუთენია რამდენიმე დღით. ბავშვმა ცოტა სუფთა ჰაერი ჩაყლაპოს და ცოტა ნორმალურად ჭამოსო.

თამაზი- სკოლა?

მიშა- რავიცი…

თამაზი- მართალია, მართალი. რა ჯობია ნატურალურ სოფლის პროდუქტს…

მიშა- შენ რას შვები? ბოდიში ესე წამოწოლილი რომ დაგხვდი. თავი მისკდება.

თამაზი- ეგ არაფერი... გეტყობა მძიმე ღამე გქონდა.(იცინის)

მიშა- დავლიე ერთი-ორი ჭიქა. რა ვქნა, ეგ ვიცი და ხატვა. მეორეში უკვე ეჭვი მეპარება. (იცინის)

თამაზი- შენ რა გითხარი… სოფლის პროდუქტები ვერა, მაგრამ კარგი კონიაკი მოვიტანე, პირდაპირ კონიაკის ფაბრიკიდან.

მიშა- როგორც ყოველთვის.(ხასიათზე მოდის)

თამაზი- და ნამცხვარი…

მიშა- მხსნელი ხარ შენი ჭირიმი. (მოაქვს ჭიქები და თეფშები)

მიშა ხარბად ხსნის ბოთლს და ასხამს ჭიქებში.

მიშა- აბა, ჩვენი გადარჩენის იყოს.

თამაზი- ამინ!

მიშა- მოდი დაჯექი, მოგიჭრა?

თამაზი- არა, არა სუფრიდან მოვდივარ. მეზმიშვილის დის შვილის დღეობა იყო. მინისტრის მოადგილეები, სამმართველოს უფროსები…

მიშა- დიდი კაცი ხარ, დიდ ხალხში ტრიალებ.

თამაზი- ეჰ, ისეთ დღეში ვარ… მტერს არ ვუსურვებ. მოდი დავილოცოთ. აბა დიდება უფალს! (ამჩნევს, რომ მიშას ხელები უკანკალებს)

მიშა-(მიშა თითქოს მალავს ხელებს) ხომ მშვიდობა გაქვს? შეგვეწიოს. (სვამენ)

თამაზი- მშვიდობა ვინმეს აქვს? მოდი მშვიდობისა დავლიოთ. (ასხავს) მაგის ფასი არაფერია ახლა.

მიშა- (სვამს და თითქოს მშვიდდება) უჰ შენ გაიხარე.

თამაზი- (იღიმის) მოწყურებული ჩანხარ…

მიშა- (დაიმორცხვებს) შევავსო?

თამაზი- აბა რა უნდა ქნა. (ასხავს) აბა დიდი დღესასწაულები ჩავიარეთ. ახალი წელი, ბედობა, შობა, მალე ნათლისღება და აბა…

მიშა- კი არ ჩავიარეთ, ჩავაძაღლეთ! გაუმარჯოს! (სვამენ)

თამაზი- რაც კაია, კაია. მართლა, დამავიწყდა. შენი ბიჭისთვის პატარა საჩუქარი მოვიტანე. (ჯიბიდან იღებს ყუთს და მაგიდაზე დებს)

მიშა- რატომ შეწუხდი.(ასხავს ხარბად, არც უყურებს ყუთს) გადავცემ აუცილებლად.

თამაზი- რა შეწუხებაა შენი ჭირიმე… აბა გაუმარჯოს შენს ვაჟკაცს!

მიშა- გაუმარჯოს. მაგარი ბიჭია…

თამაზი- მშვიდობიან სამშობლოში გაეღვიძოს.

მიშა- რომ ვუყურებ, ჩემი ბავშვობა მახსენდება.მასავით გულუბრყვილო ვიყავი, უეშმაკო. სხვისი რომ გჯერავს. და სულით და გულით რომ ენდობი ყველას. რაც შეეხება სამშობლოს, სამშობლოსგან მხოლოდ რაღაც მოსამშობლო დარგვრჩა. (სვამს)

თამაზი- შენ რაც გაიარე, მაგის მერე მაგას როგორ ამბობ? ეხლა შენნაირი ვაჟკაცი ხალხი სჭირდება აქაურობას, სანამ საბოლოოდ ბოლო მოგვეღება.

მიშა- როგორც გავიარე, ისე გამოვიარე. მე ვის რაში ვჭირდები (სევდიანად იღიმის და სვამს) აღარ სვამ? წუხელის მარტოები ვიყავით. ისიც ავად გახდა. სურდო ქონდა. მინდოდა რაიმეზე გულახდილად მელაპარაკა, ვიცი მასაც აქვს ბევრი საფიქრალი, ბავშური საფიქრალი. მინდოდა ჩემი ბავშვობაც მომეგონებინა და ერთად გვეფიქრა, დიდი სურვილი მაქვს ჭკუის დამრიგებლად გამოვადგე, მაგრამ არ გამომდის. იპარავ ხო?(ანიშნებს ცარიელ ჭიქაზე)

თამაზი- შენ თუ გამოგყევი, არ იქნება ჩემი საქმე კარგად. შენ არ იცი, ისეთი საქმეების დატრიალება შეგიძლია…

მიშა- კარგი, გეყოფა, თუ კაცი ხარ. ოჯახისთვის ვერ მიმიხედია, ვერ ხედავ?! (ფანჯარაში იხედება, თითქოს ვიღაცას ელოდება). ჭიშკარზე, რომ წერია “ეზოში ავი ძაღლია”, ხომ შემჩნეული გაქვს?! დაგინახავს ოდესმე ძაღლი ჩვენს ეზოში?

თამაზი- (იცინის) რავიცი, რა მახსოვს?

მიშა- ჰოდა მემგონი ჩემზე წერია. მაწანწალა, ავი ძაღლივით ვარ… ცოფიანი. მოგდებულ ლუკმა-პურზე.

თამაზი- ესე სწრაფად დათვერი?

მიშა- არა, პირიქით…

თამაზი- (იცინის) რა პირიქით, გამოფხიზლდი?

მიშა- მართლაც. (ყვება სიცილში)

თამაზი- ჰოდა, ჩამოასხი, შევჟუჟუნდეთ. ეს რა არის? (ანიშნებს ლურსმნით მიჭედებულ რვეულზე)

მიშა- არ ვიცი, ეტყობა ბავშვმა მიაჭედა.

თამაზი- რას არ მოიფიქრებენ ეს ოხრები.

მიშა- გადაცემას ვუყურებდი. ვიღაც მხატვარზე იყო. საინტერესოდ გამოთქვეს: “ნახატის ბოლო ლურსმანიაო, მაგრამ მხატვარს არ უნდა დაავიწყდეს იმ

ლურსმანზე რომ მისი ცხოვრების ნაწილი კიდიაო “ მე კი არაფერი მაქვს ლურსმანზე ჩამოსაკიდი ცარიელი თოკის გარდა. (იცინის)

თამაზი- რას იზამ? ცხოვრება ლაბირინთებში სიარულია. თოკი მემგონი მე მჭირდება ახლა.

მიშა- დავწნათ ერთად ერთი კარგი კანაფის თოკი.

თამაზი- მომიწევს. საქმეები ძალიან ცუდად მიგვდის.

მიშა- თამბაქოში?

თამაზი- მაშ.

მიშა- ესეთი რა ხდება ქვეყანამ ჯანსაღი ცხოვრება დაიწყო და მწეველები შემოგაკლდათ? ამ გახსენებაზე, ერთი ღერი ხომ არ გექნება?

თამაზი- როგორ არა. (ფრთხილად აძლევს თამბაქოს) შეიძლება შენთვის?

მიშა- ექიმი და ცოლი თუ ვერ მხედავენ,მეორე განსაკუთრებით, აუცილებელიც კია. მოყევი რა მოხდა? (ასხავს კონიაკს)

თამაზი- ხომ იცი სადაც ბევრი ფულია, იქ ნაძირალების არმია ჩნდება. საფრთხეში ვარ. მე რა?! ოჯახზე ვნერვიულობ. ვერ გადავწყვიტე როგორ მოვიქცე. ერთი ხელის მოსმით არ მინდა შესაძლო გავხადო იმ ავტორიტეტის დასამარება, რომელიც მრეწველობის სისტემაში მომიპოვებია 1972 წლიდან.

მიშა- უმეტესობა არც კი დაფიქრდება. საკუთარი ბედნიერებისთვის სხვის გათელვას ამჯობინებს. (ჭიქას წევს) “ადამიანი ადამიანის მეგობარი, ამხანაგი და ძმაა!” კარგი ლოზუნგია არა?! უფრო სწორი იქნებოდა გამოთქმა “სამყაროში არ მოიძებნება დღევანდელ ადამიანზე უფრო სამარცხვინო არსება.” ვიდრე უღელი გადევს სინდისის და დადიხარ ნამუსის ბეწვის ხიდზე, მანამდის ხარ ცოდვა, თორე, თუ ეს ხიდი გაწყდა, დაღუპვასაც გადარჩები. დანარცხებული, სხვა კაცი წამოდგები, უმალვე თავისუფალი, შეუზღუდავი თავხედობით, ამ ცხოვრებისთვის შესაფერისი თავხედობით. ჰოდა მოდი,თავხედურად კიდევ ერთი ჭიქა დავლიოთ და თავხედი ადამიანები დავლოცოთ. (იცინის)

თამაზი- გაუმარჯოს! ჯუნგლების კანონი მოქმედებს ირგვლივ.

მიშა- მე ვერაფრით დაგეხმარები?

თამაზი- არა ჭირიმე, სასიკვდილო საქმეა. არ მინდა საფრთხეში ჩაგაგდო.

მიშა- საფრთხეს რომ ვუფრთხოდე, ორჯერ გაგრაში წავიდოდი?! (კიდევ ერთ ჭიქას სვამს უსადღეგრძლოდ) თქვი რა ხდება შენს თავს! დავასხა?

თამაზი- დაასხი. ისეთი რაღაცების ჩემს თავზე აღება მიწევს, რაც არ არის ჩემი საქმე და თან არასდროს გამოვდგებოდი. მომიჭრი ერთ ნაჭერს?

მიშა გადის და დანა შემოაქვს. თამაზი ათვალიერებს ოთახს. ვხვდებით რო ემზადება მნიშვნელოვანი რამის სათქმელად. როგორც კი მიშა შემოდის უშუალოდ იწყებს.

თამაზი- გაგრა კარგი გამახსენე…

მიშა- რა?

თამაზი- გაგრა, გაგრა.

მიშა- ვისი ნამცხვარია?

თამაზი- ვარანცოვზე ერთი კარგი ქალი აცხობს. სუფთა ქალია. გაქვს კიდე აფხაზეთიდან ბიჭებთან ურთიერთობა?

მიშა- ისე რა. ალაგ-ალაგ ვინც გადარჩა… ბევრი არ არის მაგ სიაში. აცხონოს. (დანაზე შემორჩენილ ნამცხვარს სინჯავს) უფ, კაია ხო იცი შენ?! (ნამცხვრის ნაჭერს თამაზსს აძლევს და კონიაკს ჩამოასხმას)

მიშა- ამხელა ნამცხვარი რამ მოგატანინა შე კაცო. ვინ შეჭამს ამდენს.

თამაზი- შეინახე მაცივარში.

მიშა- მთელი თვის სამყოფია.

თამაზი- კარგი ახლა აჭარბებ.

მიშა- ეს რომ ერთმა კაცმა შევჭამო, გამასვენებენ აქედან.

თამაზი- რამდენზე შეჭამდი ახლა ამ ნამცხვარს მთლიანად?

მიშა- ერთ დაჯდომაზე?

თამაზი- იყოს მთელი დღე.

მიშა- ჰაჰ, რამდენს გადაიხდიდი?

თამაზი- შენ მითხარი შენი ფასი და ვივაჭროთ.

მიშა- კუპონებში? (იცინის)

თამაზი- დოლარებში.

მიშა- დაიწყე, შემომთავაზე.

თამაზი- ოცი დოლარი?!

მიშა- მოუმატე… სამკვდრო-სასიცოცხლო გამოწვევაა.

თამაზი- ორმოცდაათი დოლარი!

მიშა- ორმოცდაათზე დავფიქრდებოდი, მაგრამ ალბათ მაინც უარს ვიტყოდი. დიაბეტიმეტი დამიჯდება.

თამაზი- ასი დოლარი და შევთანხმდით.

მიშა- (იცინის) მოდი ხელი ჩამომართვი. (ხელს ართმევენ და იცინიან) ას დოლარად ვარანცოველი მცხობელიანად შევჭამდი. ეჰ, რა დროს არ შეიძლება შაქარი. არადა როგორ მიყვარს ბეზეები…ამ კონიაკში ჰო არ უშვებიან შაქარს?

თამაზი- არა, წამალივითაა. (იცინის)

მიშა- აბა, ჯანმრთელობას გაუმარჯოს!

თამაზი- გაუმარჯოს! (პაუზა) ჰოდა, რას ვამბობდი. ვინმე ყოფილი "ვაენნი" მჭირდებათქო… თუნდაც აფხაზეთიდან. იმ საქმისთვის, რომ გითხარი.

მიშა- აგერ არ ვარ შე კაი ადამიანო?!

თამაზი- როგორც გითხარი, სასიკვდილო საქმეა.

მიშა- ვინმეა გასასაღებელი? შენს გამო თამაზ ხო იცი?.. (იცინის)

თამაზი- იცინე, იცინე და მართლა მაგ საქმისთვის ვეძებ. (ყვება სიცილში)

მიშა- ხუმრობ ხო? დათვერი?

თამაზი- ეგ არ გითხარი შე კაცო, ისეთ საქმეში ვარ გახლართული, რაშიც არ გამოვდგებითქო?! მაგრამ რა ვქნა, ზემოდან არის დავალება. მიწევს რაღაცები საკუთარ თავზე ავიღო. გარეთ ომია მიხეილ, ომი. ცოტა კი შევთვერი.

მიშა- ჩემი რჩევაა, იქნება დაანებოთ მაგ ომობანას თამაშს თავი და თამბაქოს მიხედოთ.

თამაზი- ნეტავ შემეძლოს, ნეტავ შემეძლოს.

პაუზა

მიშა- (სერიოზულდება) არ მეგონა ესე სერიოზულად თუ იყო საქმე.

თამაზი- მაგაშია საქმე, ძალიან სერიოზულადაა. (ასხმას და სვამს)

მიშა- რას ამბობ კაცო, მე კიდე ჩემ ნახატებს ვჩივი.

თამაზი- დიდ ფულს იხდიან.

მიშა- მერე?

თამაზი- მერე არაფერი.

პაუზა

მიშა- მაინც რა თანხაზეა საუბარი?

თამაზი ჯიბიდან ფურცელს იღებს და აწვდის.

მიშა- (გაკვირვებული) დოლარი?

თამაზი- ხო აბა.

მიშა- ვინ არის ესეთი?

თამაზი- საშიში კაცია. მარტო საკუთარ თავს და ოჯახს კი არ ვჩივი, ქვეყნისთვის არის საშიში. მე მარტო ის მევალება, რომ “ბაევიკი" ვიპოვო და საქმის დამთავრების მერე ფული გადავიხადო.

მიშა- აბა მე რით დაგეხმარო, ჩემო თამაზ?!

თამაზი- არა, ჭირიმე. შენი შეწუხება არც მინდოდა. უბრალოდ აფხაზეთი რომ ახსენე, ამომიტივდა, მეთქი ვინმე ხომ არ ახსენდება, ამ საქმეზე წამსვლელითქო.

მიშა- არ ვიცი. არ მინდა ესე საქმეებში გავერიო.

თამაზი- არა, არა. მაგიტომ არ მითქვამს. მართლა გემრიელი ნამცხვარია,, ცუდია რომ ვერ ჭამ.

მიშა- შეგერგოს თამაზ. მოგიჭრი კიდე.

თამაზი- არა, არა გავუყვები ახლა მე ჩემს გზას. შენც დაისვენე. (იცმევს ქურთუკს)

მიშა- გაიხარე, კარგი საღამო გამოვიდა.(მიშა კარს უღებს და კარს იჭერს, რომ არ დაიკეტოს.) კარგად შევჟუჟუნდით. წამოდი გაგაცილებ.

თამაზი(კარში)- მოდი, მაინც მე ამ ქაღალდს დაგიტოვებ,დეტალები წერია და თუ ვინმე გაგახსენდა, შემატყობინე.

მიშა- რავიცი… რავიცი…

მიშა ართმევს ქაღალდს და ჯიბეში იდებს. თამაზი და მიშა გადიან. შემოდის გრიშას ცოლი და ყუთიდან იღებს ნამცხვარს და თეფშზე გადააქვს.

გრიშას ცოლი- (შვილს ეძახის) მოდი მომეხმარე, კარი დამიჭირე!

შემოდის გრიშას შვილი და დედას კარს უჭერს. ხელში ქვაბის თავსახური უჭირავს, როგორც ფარი და თავზე ქვაბი აქვს ჩამოფხატებული, როგორც მუზარადი. მეორე ხელში სათამაშო რუჩაგოები უკავია.

გრიშას ცოლი- დადე თავის ადგილას ეგ ქვაბი, ისედაც ამდენი ჭურჭელი დამიგროვდა.

გრიშას შვილი- არ ვსვრი.

გრიშას ცოლი- ამდენი ნამცხვარი ვინ უნდა შეჭამოს? სად შევინახო ახლა?!

შემოდის გრიშა. მასაც ქვაბი აფარია თავზე და ხელში ხის კოვზი უკავია.

გრიშა- (პათეტიკურად) სოროს შეაფარე ხო თავი, პატარა მხდალო! მიფრთხილდი! (იქნევს კოვზს, როგორც ხმალს)

გრიშას შვილი- სენსეისთან ვერაფერს გახდები. ია�ა! (იქნევს რუჩაგოებს)

გრიშას ცოლი- დალეწეთ ახლა სახლი! (ქმარს) შენ რაღა ჭირი გეტაკა?

გრიშა- სენსეი!

გრიშას შვილი- გისმენთ, რაინდო!

გრიშა- (ცოლზე) მემგონი ახლომახლო საშიში “ბაბა იაგა” შევნიშნე. შევუტიოთ!

გრიშას შვილი- წინ! შეტევაზე! იააა�ა!

გრიშა და ბავშვი დედას “იარაღს” უქნევენ

გრიშას ცოლი- გამარტყით, მიდი! ვაი თქვენს პატრონს.

გრიშა-(ყვირის) ლაპარაკობს!

გრიშას შვილი- ენა მოვაჭრათ!

გრიშას ცოლი- დაიმოკლე ენა, თორე მართლა მოგაჭრი!

გრიშას შვილი- ცეცხლებს უშვებს! დაიმალე!

გრიშა- მაგიდის ქვეშ, ჩქარა!

გრიშას ცოლი- წადი ფეხზე ჩაიცვი, გაგვიანდება. მოვა ახლა ის კაცი.

გრიშა- ამ კარატემ არც ნათლისღება იცის და არც აღდგომა?

გრიშას ცოლი- მე რა ვიცი. (შვილს) გამოდი მაქედან. მოწმინდე ბარემ “პოლი". წადი და ჩაიცვი ფეხზე, აღარ გამამეორებინო. (ქმარს) მოდი კარი დამიჭირე.

გრიშა- (რაინდივით უჭერს კარს და უღიმის) შეხედე, საზარელი “ბაბა იაგა” ულამაზესს დედოფლად გადაქცეულა. (კარიდან გამავალ ცოლს კოცნის, ცოლიც უღიმის)

გრიშას ცოლი- ამ თვის გადასახადი უნდა გავატანოთ.

გრიშა საფულედან ფულს იღებს და აძლევს.

გრიშას ცოლი- ამდენი რად მინდა შე კაცო?

გრიშა- იყიდე რამე შენთვის, ჩემო დედოფალო.

გრიშას ცოლი- რო, შემოვალ ჩაცმული დამხვდეს. (შვილს) კიმონო არ დაგრჩეს. (გადის)

გრიშა- გამოძვერი და ჩაიცვი სანამ დაბრუნებულა.

გრიშას შვილი- არ მინდა წასვლა.

გრიშა- რატო?

გრიშას შვილი- დღეს დასვენების დღეა.

გრიშა- მერე რა?

გრიშას შვილი- არ მინდა და მორჩა!

გრიშა- ვინმემ ხო არ გაწყენინა?

გრიშას შვილი- არა!

გრიშა- აბა თვალებში შემომხედე. რა მოხდა?

გრიშას შვილი- (მორცხვად) ბიჭები “გრუშას" მეძახიან.

გრიშა- (იცინის) რატო?

გრიშას შვილი- (ბრაზდება) არ ვიცი!

გრიშა- მაგარი მეტსახელია!

გრიშას შვილი- არ არის მაგარი.

გრიშა- როგორ არა. გითხრა რით გამოირჩევა გრუშა?

გრიშას შვილი- რით?

გრიშა- იმით, რომ გამძლეა. რამდენიც არ უნდა ურტყა არ ტკივა, არ იღლება, არ ცვდება. მამაცია შენსავით. შენც შეგიძია მიიღო ბევრი დარტყმა, მაგრამ მაინც მყარად იდგე ფეხზე.

გრიშას შვილი- (იღიმის)გრუშა ჰაერში კიდია.

გრიშა- შენც ხო შეგიძლია ფრენა. ახტი აბა ტახტზე. თან ნახე როგორ უხდება, გრუშა და გრიშა, ძლევამოსილი მებრძოლები! თან როგორ ჩინურად ჟღერს. გრუ შა! აბა თავი დაიცავი სენსეი გრუშა!

გრიშას შვილი- მე ტკივილს ვერ მომაყენებთ სერ გრიშა! იაა!

გრიშას შვილი ტახტზე შეხტება და ხტუნაობს. თან რუჩაგოებს იქნევს.

გრიშა- უსუსურია შენი გამძლეობა, ჩემი ცეცხლოვანი ხანჯლის წინაშე!

შემოდის გრიშას ცოლი, ბეწვის ქურქი აცვია, კარს იჭერს.

გრიშას ცოლი- მოვიდა ჩაჩიკა, გაცვია?!

გრიშა- მიდი, მიდი, ჩქარა ჩამოხტი ჩაიცვი, თორემ შენც მოგკლავს და მეც ზედ მიმაყოლებს.

გრიშას შვილი- ო, არა, ღმერთმანი. ბოროტი ჯადოქარი დაბრუნდა და მიხმობს!

ბიჭი ბედნიერი ჩამოხტება სავარძლიდან.

გრიშა- ჰო, მართლა თამაზი ნათლიამ საჩუქარი მოგიტანა, დამავიწყდა.

გრიშას შვილი- რა არის?

გრიშა- მოდი, ერთად ვნახოთ.

გრიშა მაგიდიდან იღებს თამაზის მოტანილ ყუთს და ნელა იღებს ოქროს ჯვარს

გრიშას შვილი- (იმედგაცრუებული) ჯვარია?

გრიშა-(პათეტიკურად) ეს ჯვაროსნების ჯვარია! მუზარადი მოიხადეთ სენსეი გრუ შა.

გრიშას შვილი ნელა იხსნის თავიდან ქვაბს.

გრიშას ცოლი- ჩქარა, ჩქარა!

გრიშა- მე, მისი აღმატებულება რაინდი გრიშა, ოჯახის სახელით, ამა წლის ცხრამეტი იანვრიდან სენსეი გრუ შას ჯვაროსანთა ლაშქრის მხედარმთავრად და რაინდან ვნიშნავ. დაე პირნათლად შეასრულოს ოჯახის, მეგობრების და სკოლის მიმართ აღებული ვალდებულებები.

გრიშას შვილი- და კარატეს.

გრიშა- და კარატეს.

გრიშა ჯვარს ჯერ მხრებზე ადებს შვილს და მერე თავზე ჩამოაცვამს.

გრიშა- ახლა კი რაინდული ამბორის დროა! (იჭერს შვილს და ბევრს კოცნის) ახლა გაიქეცი.

გრიშას ცოლი- გეყოფათ, წავედით.

გრიშა- აბა თქვენ იცით.

გრიშას შვილი- მოვალ და განახებ რას გიზამ…

გრიშა- ტყუილად გაქვს ჩემი დამარცხების იმედი…

დედა-შვილი გადიან. გრიშა დაღლილი, მაგრამ ბედნიერი სავარძელში ჯდება, მაგნიტოფონში მუსიკას რთავს. დაახლოებით ერთი წუთის შემდეგ ხმაური ისმის კულისებიდან.

გრიშა- (ყვირის ბოლო ხმაზე) მე უკვდავი “კაშეი” ვარ! არ გაბედო ჩემს სამფლობელოში შემოსვლა!

კარი იღება და შემოდის მიშა. ძალიან მთვრალია, ანერვიულებული. ხელში შემართული ავტომატი უჭირავს. დაინახავენ ერთმანეთს. გრიშა ნელა იხდის ქვაბს თავიდან. ერთმანეთს თვალებში უყურებენ, ორივე დაბნეულია. მიშა თითქოს ცნობს. დაძაბული პაუზა. ხმას არცერთი არ იღებს. მიშა უმიზნებს ავტომატს და ერთ ტყვიას ისვრის. ტყვია ქვაბის თავსახურს ხვდება. გრიშა უკან იხევს. მიშა თავს ძალას ატანს და ისვრის იქამდე, სანამ იარაღში ტყვიები არ გათავდება. გრიშა ჭრილობაზე ხელს იკიდებს და ხმის ამოუღებლად გადის ოთახიდან საშველად. მიშას იარაღი უვარდება, გულზე ხელს იკიდებს, შეტევა ეწყება და იატაკზე ვარდება. შემორბის მიშას შვილი და დაინახავს ძირს დაგდებულ მამას.

მიშას შვილი- მამა ცუდად ხარ? მამა! (ყვირის) დედა! დედა! მამა ცუდად არის! ჩქარა!
(შემორბის მიშას ცოლი)

მიშა ცოლი- მიშა, მიშა! გესმის.

მიშას შვილი- მამა! გაიღვიძე!

მიშა ცოლი- (პანიკურად უყვირის შვილს) გამორთე ეგ მუსიკა. მიშა, მიშიკო! შემომხედე. (შვილს) გაიქეცი ჩქარა წამალი მოიტანე. სამზარეულოს პირველ უჯრაშია.

მიშა ცოლი- (ეფერება)მიშიკო, არ ინერვიულო, აქ ვარ შენთან ვარ. შენს გვერდით ვარ. არ მიგატოვებ. მიშიკო ჩემო საყვარელო. კარგად იქნები ჩემო ძვირფასო. ჩემო სინათლევ! ჩემო თვალის ჩინო. მშვიდად იყავი. მე და შენი შვილიკო აქ ვართ, შენთან ვართ. (შემორბის შვილი) სწრაფად მომეცი.
(პირს აღებინებს და აბს უდებს. მიშა ღრმად ამოისუნთქავს) აი ესე, მიშიკო, კარგია. ყველაფერი კარგად არის ჩემო ბედნიერებავ. შემოგვხედე, ჩვენ აქ ვართ. ჩვენ შენთან ვართ. კარგად ხარ… არ ინერვიულო.

მიშა- (ძლივს ამბობს) მაპატიეთ! მაპატიეთ! (შეამჩნევს შვილს) მაპატიე ჩემო ბიჭო! მაპატიე! (თავზე ხელს უსმევს)

მიშა ცოლი- (ბავშვს) მოდი მამიკოს ჩაეხუტე. (ბიჭი ტირის და მამას ეხუტება)

მიშა- მაპატიე ჩემო შვილო, მაპატიე ჩემო ბიჭო!

მიშა ცოლი- როგორ, შეგვაშინე მიშიკო, როგორ შეგვაშინე.

მიშა- მაპატიეთ! მაპატიეთ!

მიშა ცოლი- დაწყნარდი. მამიკო კარგად არის.

მიშა- მაპატიეთ!

მიშა ცოლი- დამშვიდდი. ადექი. ყველაფერი კარგად არის. (ბავშვს) დამეხმარე ავაყენოთ. ჰაერზე გავიყვანოთ!

მიშა-(ნელა დგება) ღმერთო მაპატიე! (ნელა გაყავთ)

მიშა ცოლი-(კულისებიდან ბავშვს) შედი მამიკოს ადიალა წამოუღე,მოვაფაროთ…

შემოდის გრიშას შვილი. იღებს ადიალას და სარკეს აფარებს. შემოდის გრიშას ცოლი. შავები აცვია. დაღლილი, განადგურებული სახე აქვს. ღამე ნათევი და ცრემლ შემშრალი

გრიშას ცოლი- (ძირს დავარდნილ ავტომატს იღებს) გეხვეწები, შენს სათამშოებს ძირს ნუ დამიყრი. ხალხი უნდა მოვიდეს. სირცხვილია.

გრიშას შვილი- (დარცხვენილი იღებს ავტომატს) ბოდიში.

გრიშას ცოლი- (დაღლილი ჯდება სავარძელში) საბოდიშოდ არ გეუბნები დედიკო. გეხვეწები მამას სურათი მომიტანე. მანდ ტრილიაჟზე უნდა იდოს.

გრიშას შვილი- აქ არ არის.

გრიშას ცოლი- კარგად გაახილე თვალები.

გრიშას შვილი- არ არის აქ!

გრიშას ცოლი- ერთი წუთით ვერ დავჯექი. (მიდის სანახავად) სად გაქრა, აქ არ იდო?

გრიშას შვილი- ხო გითხარი არ არისთქო.

გრიშას ცოლი- უკან ხო არ გადავარდა. გამომაწევინე.

გრიშას შვილი- არ არის.

გრიშას ცოლი- აბა ქვემოდან შეიხედე.

გრიშას შვილი- არა.

გრიშას ცოლი- აორთქლდა?

გრიშას შვილი ეძებს უჯრებში აგრესიულად და მაგიდის ქვეშ

კაკუნი კარზე.

გრიშას ცოლი.- შემობრძანდით. (იწესრიგებს თავს და ცდილობს მოჩვენებითი ღიმილი დაიყენოს სახეზე)

მიშას ცოლი და მიშას შვილი ფრთხილად შემოდიან. ქალს ხელში შეფუთული ამანათი შემოაქვს

მიშას ცოლი- ვიზიარებ თქვენ მწუხარებას. არ ვიცოდი… უკაცრავად… დილით ვერ დაგიკავშირდით, ვიფიქრე ალბათ ხაზებს აქვს პრობლემათქო და მაინც გავუვლითქო, რომ მოვედი ესეთი ამბავი დამხვდა. არ ვიცი, რა გითხრათ.

გრიშას ცოლი- მობრძანდით,მობრძანდით. ეს ვინ მოსულა ჩვენთანო? დედა, არ უნდა მიესალმო?

გრიშას შვილი- სალამი.

მიშას შვილი- სალამი, გრუშა.

მიშას ცოლი- მეუღლემ ეს გამომატანა, რამდენიმე დღის წინ დაამთავრა. მესმის ახლა ამის დრო არ არის, მაგრამ…

გრიშას ცოლი- არა, რას ამბობთ, პირიქით... მადლობელი ვარ. შეიძლება ვნახოთ?

მიშას ცოლი- რა თქმა უნდა. აი ინებეთ (აძლევს ამანათს)

გრიშას ცოლი- (ხსნის და უყურებს ტილოს) ძალიან ლამაზი გამოსულა, (შვილს) მოდი შეხედე.

გრიშას შვილი- (ბავშვი უყურებს ტილოს) მამაა?

გრიშას ცოლი- ვერ იცანი? (უხერხულად იღიმის)

გრიშას შვილი- კი, ძალიან გავს.

გრიშას ცოლი- აი აქ დავკიდოთ. მადლობა გადაუხადეთ თქვენს მეუღლეს. (იღებს ჩანთიდან საფულეს) ახლავე…

მიშას ცოლი- არა რას ამბობთ. ვერ გამოგართმევთ.

გრიშას ცოლი- გთხოვთ უხერხულ მდგომარეობაში ნუ ჩამაგდებთ.

მიშას ცოლი- მეუღლემ კატეგორიულად გამაფრთხილა, შემდეგ მთელი ღამე ბოდავდა.

გრიშას ცოლი- უი რას ამბობთ?

მიშას ცოლი- თვითონ როგორც ჩანს უკმაყოფილო არის თავის ნამუშევრით. არ წაიღოო. დილით ჩუმად წამოვიღე, სანამ ეძინა. რას გაუგებ ხელოვანებს. (უხერხულად იღიმის)

გრიშას ცოლი- გთხოვთ გამომართვით და არ უთხრათ რომ... (უკუჭავს ფულს) ხომ ხედავთ რა დრო დადგა... (მიშას ცოლი უხერხულად იღებს ფულს და ხელში უჭირავს, ისე თითქოს სხვისი ხელია)

მიშას ცოლი- დიდი მადლობა. უი, აი ესეც ფოტო. (ჩანთიდან იღებს ფოტოს)

გრიშას ცოლი- (შვილს შეხედავს. უხმოდ მოუბოდიშებს) სულ დამავიწყდა თქვენ რომ მოგეცით. ზუსტად ახლა გასადიდებლად ვეძებდი. (სევდიანად უყურებს ფოტოს, თითქოს მიეფერება შეუმჩნევლად) დიდი მადლობა.

მიშას ცოლი- პირიქით მადლობა თქვენ.

გრიშას ცოლი- დაბრძანდით… როგორ არის თქვენი მეუღლე?

მიშას ცოლი- არ მინდა შეგაწუხოთ. სუსტად არის წუხელაც შეტევა ქონდა, ბავშვი ვერ დავუტოვე და ვიფიქრე წავიყვან სკოლაშითქო.

გრიშას ცოლი- უი, რას ამბობთ? ხომ ყველაფერი რიგზეა?

მიშას ცოლი- ჯერჯერობით კი, რაღაც წამალს ელოდება…

გრიშას ცოლი- ღმერთის წყალობით ყველაფერი ისე იქნება, როგორც გინდათ. ყავას ხომ არ დალევთ?

მიშას ცოლი- არა, არა დიდი მადლობა. (უხერხული პაუზა) როდის მოხდა, რა მოხდა?

გრიშას ცოლი- გუშინ საღამოს. ჯერჯერობით არაფერი ვიცით. გამოძიება დაიწყეს, მაგრამ დიდი იმედი არ მაქვს. მთელი ქვეყანა იარაღით დადის.

მიშას ცოლი- არ ვიცი, რა გვეშველება. ყოველ შაბათს დაკრძალვაზე დავდივარ.

გრიშას ცოლი- დიახ.

მიშას შვილი- დედა ნახე, ბრუს ლის ნაირი რუჩაგო.

მიშას ცოლი ხელში შერჩენილ ფულს ჯიბეში იდებს, თითქოს ბავშვს უმალავს

მიშას ცოლი- სხვის ნივთებს ხელი ხომ არ უნდა მოვკიდოთ?

გრიშას ცოლი- არაუშავს აიღოს. (ბავშვს)დადიხარ კარატეს სექციაში?

მიშას შვილი- კი, მაგრამ ორი დღე გამიცდა. მამა ავად იყო.

გრიშას ცოლი- არ ინერვიულო, გამოკეთდება. შენც კარატისტი უნდა გახდე?

მიშას შვილი- დიახ…

მიშას ცოლი- ჯერ პატრონს კითხე შეიძლება თუ არა.

მიშას შვილი- შეიძლება?

გრიშას შვილი- შეიძლება.

მიშას შვილი- ნაღდია თუ სათამაშო?

გრიშას შვილი- ნაღდია. მამამ მაჩუქა დღეობაზე.

მიშას შვილი- მაგარია. მეც უნდა დავაბარო თოვლის ბაბუას შემდეგ ახალ წელს. დედა ხო მომიტანს?

მიშა ცოლი- არ ვიცი, გააჩნია როგორ მოიქცევი. (გრიშას ცოლი-ს შეხედავს და ორივე გაიღიმებს)

მიშას შვილი- ხვალ მოდიხარ კარატეზე?

გრიშას შვილი- ვერა, ბაბუსთან ვრჩები და ვერ წამომიყვანს.

მიშას შვილი- მერე, რო წამოხვალ წამოიღებ?

გრიშას შვილი- კი!

მიშას შვილი- მათხოვებ?

გრიშას შვილი- კი! ოღონდ ვინმეს არ მოარტყა, მტკივნეულია.

გრიშას ცოლი- (მიშას ცოლის) წამობრძანდით, წამობრძანდით, ყავა დავლიოთ, იყვნენ ითამაშონ. იქნებით?

გრიშას შვილი- კი.

მიშას ცოლი- ოღონდ არაფერი დალეწოთ (უხერხულად იღიმის)

გრიშას ცოლი- მობრძანდით. (უღებს კარს, იჭერს და ატარებს)

მიშას ცოლი- გმადლობ. თამაზს იცნობთ ხომ მასპინძელაშვილს? სადარბაზოში შემხვდა.

გრიშას ცოლი- დიახ, ჩემი მეუღლის თანამშრომელი და ახლო მეგობარია. ამის ნათლიაა. ძალიან გვერდში გვიდგას. ახლა ის ჩაუდგა ფაბრიკას სათავეში.

მიშას ცოლი- უი, რას ამბობთ. ჩვენი მეზობელია, ჩვენი ოჯახის ახლობელია…

გრიშას ცოლი- ეჰ, რა პატარაა თბილისი.

გრიშას ცოლი- უი, რას ამბობთ.

მიშას ცოლი- ასეა… (შვილს) ჩუმად იყავი იცოდე, არ იხმაურო. (გადიან საუბარი წყდება)

მიშას შვილი აღტკინებული იქნევს რუჩაგოს, თან ოთახს ათვალიერებს

მიშას შვილი- მამასაც ესეთი კაბინეტი აქვს.

გრიშას შვილი- ეგრე არ უნდა…

მიშას შვილი მორცხვად შეწყვეტს ქნევას და უბრუნებს რუჩაგოებს

მიშას შვილი- აი ესე უნდა. (სევდიანად და უენერგიოდ) იაააა!გინდა გასწავლო როგორ უნდა გაიმაგრო მუშტი?

მიშას შვილი- კი.

გრიშას შვილი კედელზე მიმაგრებულ რვეულზე მიუთითებს

გრიშას შვილი- აი ესე ურტყავ რვეულს, მერე ყოველ დღე თითო ფურცელს ჩამოხევ და ბოლოს გაგიმაგრდება. ცადე, აბა ესე თუ გეტკინება.

გრიშას შვილი ურტყავს რვეულს, შემდეგ მიშას შვილი იმეორებს

მიშას შვილი- არ მეტკინა.

გრიშას შვილი- ჩამოხიე ფურცელი.

მიშას შვილი ხევს ერთ ფურცელს და კიდე ურტყავს

მიშას შვილი- კიდე არ მეტკინა!

გრიშას შვილი მთელი ძალით ურტყავს რვეულს მუშტს და სიმწრისგან ცრემლი წასკდება, მიშას შვილი მივარდება სანუგეშოდ.

მიშას შვილი- გეტკინა?

გრიშას შვილი- არა, უბრალოდ ცუდად დავარტყი. (პაუზა)

მიშას შვილი- მაგარი დარტყმა იყო! (ხელს, ხელზე კიდებს)

გრიშას შვილი- (ღიმილით)უფრო ძლიერადაც შემიძლია.

მიშას შვილი- (პაუზის შემდეგ)ჩემს დღეობაზე მოხვალ?

გრიშას შვილი- კი. როდის გაქვს?

მიშას შვილი- ერთ თვეში და ოთხ დღეში.

გრიშას შვილი- მოვალ.

მიშას შვილი- კარგი, დედასთან წავალ. საით უნდა წავიდე?

გრიშას შვილი- კარიდან, რომ გახვალ მარჯვნივ და დაინახავ.

მიშას შვილი- შეხვედრამდე…

გრიშას შვილი- მოიცა, ეს რუჩაგო წაიღე. ჩემი დაბადების დღის საჩუქარი იყოს.

მიშას შვილი- მართლა? შენ?

გრიშას შვილი- შენი იყოს.

მიშას შვილი- მადლობა.

მიშას შვილი გადის ოთახიდან, გრიშას შვილი მიაძახებს

გრიშას შვილი- შენი ოჯახი დაიცავი იცოდე!

მიშას შვილი-(მადლიერებით) აუცილებლად. (და რუჩაგოებს აჩვენებს)

გრიშას შვილი-ს რვეულზე თვალი უშტრდება . რვეულთან მიდის და მუშტებს ურტყამს იქმადე სანამ ყველა ფურცელს არ ჩამოხევს. ბოლოს ერთს, ძლიერად კედელს ურტყამს. მუშტს მოისინჯავს მეორე ხელით და ხვდება რომ აღარ ტკივა.

ფარდა

პიესა დაფუძნებულია რეალურ ისტორიაზე.
1993 წელს, თბილისში, საკუთარ სახლში ჩაცხრილეს თამბაქოს ქარხნის დირექტორი, გრიგოლ (გრიშა) ჟორდანია.
ლექსიკისთვის გამოყენებულია გრიგოლის დღიური, რომელსაც აწარმოებდა 1978 წლიდან 1993 წლამდე.
ყოფილი "თამბაქოს ქარხნის" ტერიტორიაზე დაარსდა ახალი თეატრალური სივრცე — „ქალაქის თეატრი", ამიტომ პიესის პრემიერა აუცილებლად უნდა შედგეს ამ თეატრში.

ეძღვნება ილია (იკო) ჟორდანიას.